შაბათი, 1 სექტემბერი 1907 წ.

82

წელიწადი პირველი—№ 191

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილების დასაბრუნებლად საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

## წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა

აუწყებს საზოგადოების წევრებს თავმჯდომარის და საპატიო წევრის

თ. ილია გრიგოლის ძის

## ჭავჭავაძის

ტრაგიკულს გარდაცვალებას და სთხოვს, დაესწრნენ პანაშვიდს ქაშვეთის ეკლესიაში 1 სექტემბერს, დღის 2 საათზე.

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

„ისარი“-ს რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს მკითხველებს და ქართველ საზოგადოებას დაკარგვას მხცოვან და დაუვიწყარ მგოსნის

## ილია ჭავჭავაძისას,

რომელიც მსხვერპლი გახდა უვიც და ქვე-მძრომ ძალებისა.

პანაშვიდი ქაშვეთის ეკლესიაში დღეს, პირველ სექტემბერს, ნაშუადღევის ორ საათზე.

---

მეთვალყურე კომიტეტი და გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, უღრმესის მწუხარებით აუწყებენ რა გარდაცვალებას ყოფილის ბანკის თავმჯდომარისას

თავადის ილია გრიგოლის ძის

## ჭავჭავაძისას,

სთხოვენ განსვენებულის ხსოვნის პატივის მცემელთ მობრძანდნენ პანაშვიდზე, შაბათს, 1 სექტემბერს, 2 საათზე ნაშუადღევს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (2—287—1)

---

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მოსამსახურენი უღრმესის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებას ყოფილის ბანკის თავმჯდომარისას

**თ. ილია გრიგოლის ძის ჭავჭავაძისას**

და სთხოვენ განსვენებულის ხსოვნის პატივის მცემელთ მობრძანდნენ პანაშვიდზე შაბათს, 1 სექტემბერს, 2 საათზე ნაშუადღევს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (1—287—1)

---

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკრებულო აუწყებს ქართველ საზოგადოებას

თავადის ილია გრიგოლის ძის

## ჭავჭავაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენიებლად გარდახდილი იქნება კვირას, 2 ენკენისთვეს, დღისით 2 საათზე, ქაშვეთის წმიდა გიორგის ეკკლესიაში. დღე დასაფლავებისა ცალკე იქნება გამოცხადებული.

---



ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე.

### საზარელი მკვლელობა

მოგვიკლეს ილია ჭავჭავაძე! სოცარია და დაუჯერებელი, მაგრამ ფაქტია უკვე, საშინელი ფაქტი. არა გვგონია, რომ იყოს ისეთი შეგნებული ქართველი, რომელსაც ცოტა რამ უღვივის გულში და სინიდისი შერჩენია, რომ არ აღშფოთდეს და არ შეძრწუნდეს ამ საშინელების გაგონებაზე. ეს რა დღეს მოვესწარით, ეს რა უბედურება დაგვატყდა თავს?

ორმოცდა-ათი წელიწადი ამ ადამიანით ვამაყობდით; მის დიად ნიჭს, საკვირველ ჭკუას, დიდ ენერგიას ვცემდით თაყვანს; მისი ამაგით და განუზომელის ღვაწლით ჩვენი ქვეყნის წინაშე ვიყავით მოხიბლულ მოჯადოებულნი და ვინ, რომელმა მხეცებმა და სულმდაბლებმა დაგვასხეს ახლა თავს ლაფი და გამოგვჭრეს ყელი?

ილია ჭავჭავაძე! ეს ხომ ჩვენი დიდი პოეტი იყო, რომელიც საუკეთესო გრძნობებს გვიღვიძებდა და გვინერგავდა; რომელმაც დაგვიწერა „გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი“, „სურათები სოფლის ცხოვრებიდან“, „ჩრდილი“, „განდეგილი“? ეს ხომ ჩვენი პირველხარისხოვანი მწერალი იყო, რომელმაც შექმნა ახალი ხანა ჩვენს ლიტერატურაში და რომლის თხზულებებზე პირველი მოქალაქობრივი აღზრდა მიიღო ორმა თაობამ მაინც? ეს ხომ ჩვენი პირველი საზოგადო მოღვაწე იყო, რომელმაც პირველად გაჰკაფა საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზი და თავის ამხანაგების პატარა წრის დახმარებით დაგვიარსა ყველა ჩვენი საკულტურო დაწესებულებანი? ეს ხომ იმ პატარა ჯგუფის პირველ რიგში იდგა, რომელმაც მესამოცე წლების ხანა შექმნა ჩვენში,—ხანა განახლებისა და აღორძინებისა?!

და აი, ამ ადამიანს, ამ დიდ მოჭირნახულეს, დიდ მოამაგეს ვერაგულად მოუსპეს სიცოცხლე. მერე როდის? როცა ქვეყნის სამსახურში მოიქანცა, დაუძლურდა, დაბერდა, და ცალი ფეხი უკვე სამარეში ედგა. ასე დავაჯილდოვეთ, ასე დავაფასეთ მისი წარსული ღვაწლი და სამსახური. მეტი ბარბაროსობა, მეტი გაზრწნილობა შეუძლებელია! ამაზე შორს ვეღარ წავალთ, ის-ღა დაგვრჩენია მხოლოდ ერთმანეთს დავერიოთ და ყველანი ამოვწყდეთ...

რა ვთქვათ, რითი ვიმართლოთ თავი უცხოთა წინაშე? იმათ წინაშე, ვინც ილიასთანა მოღვაწეებს დიდების გვირგვინით უმკობენ შუბლს, ჩვენ-კი ტყვიებით დავუხვრიტეთ? რუსეთის სარევოლიუციო პარტიები ბრძანებას სცემენ—იდეურ მოწინააღმდეგეთ ხელს არავინ ახლოსო და ისეთი ხულიგანები, როგორიც არიან პურიშკევიჩები, კრუშევანები, გრინგმუტები, რომელნიც შხამავენ რუსეთის პოლიტიკურ ჰავას და სათავეში უდგიან ახლანდელ შესაზარ რეაქციას,—ესეთი ხულიგანები თავისუფლად სცხოვრებენ და მოღვაწეობენ, ჩვენ-კი ილია ჭავჭავაძე—ჩვენი საუკეთესო პოეტი, ჩვენი პირველი საზოგადო მოღვაწე—მოვკალით. გონება გვებნევა, როცა გავიფიქრებთ, რომ ილია პოლიტიკურს ნიადაგზე არის მოკლული... არა გვჯერა, რომ ასეთ გახრწნილობამდე მივედით. გუშინ მთელი ტფილისი ამას იმეორებდა. მაგრამ ჩვენ არ გვინდა [illegible], რომ აქ წინადვე განზრ[illegible], დამზადებული და გადაწყვეტილი მკვლელობა იყოს. ეს თავის ინიციატივით ჩაიდინეს, ალბად, უმეცარმა, გონება დაბნელებულმა ადამიანებმა, რომელთათვის კაცის მოკვლა არავითარ სიძნელეს არ შეადგენს,—დეგენერატებმა, რომელთაც გამოჩენილ ადამიანის მოკვლა გმირობათაც მიაჩნიათ...

დღეს მთელმა ქართველმა ერმა უნდა იგლოვოს არა მარტო ილია ჭავჭავაძე, უაზროდ და ვერაგულად მოკლული და ბარბაროსულად დასჯილი, არამედ მთელი ჩვენი აწმყო, სრულიად დაშლილი და მოსპობის გზაზე დამდგარი. სად მივდივართ, რათ ვითხრით სამარეს ჩვენისავე ხელებით! განა წარსულის ასე ბარბაროსულად უარყოფა და მოსპობა სრულიად გადაგვარების ნიშანი არ არის?.. განახლების ხანა დგებაო. მართალია დგება, მაგრამ ვაი თუ არა ჩვენთვის! ჩვენ ერთობ სუსტი, სისხლწამხდარი და ფუქსავატი ერი ვყოფილვართ და ჩვენ ვერ ვისარგებლებთ ვერავითარ ნახლებით, თუ დროზე გონს არ მოვალ[illegible] თუ არ გამოვირკვევით, არ გამოვფხიზლდებით იმ ფანატიკურ სიგიჟისაგან, რომელმაც ასე ადვილად აგვიყოლია და ასე დაგვაბრმავა...

გონება გვებნევა და სიტყვა გულში გვიკვდება სიმწარისაგან... ჩვენც, ამ გაზეთის თანამშრომელნი, კარგა ხანია დავშორდით ილიას და მის თაობას; ჩვენ შორისაც იდეიური წინააღმდეგობა იყო; მაგრამ ერთ წუთსაც არ დაგვივიწყნია ამ ადამიანის წარსული ღვაწლი ჩვენის უბედურ სამშობლოს წინაშე და ყოველთვის პატივსა ვცემდით მის სახელს. ახლა მის გაცივებულ გვამის წინაშე ვდგევართ თავზარდაცემულნი და არ ვიცით, რა სიტყვებით გამოვთქვათ ჩვენი უზომო მღელვარება, სიმწარე, უნუგეშო მწუხარება და რა სიტყვებით დავგმოთ, დავსწყევლოთ მისი მტარვალები...

---

## მოჰკლეს პოეტი!

**უდგთო იყო შენი სიკვდილი!**

კალამი მითრთის... ენა მებმის.. აზრი მერევა.

ტყვიით განგმირეს მხცოვანი გული მხცოვანის პოეტისა და გვამი მისი დააგდეს მტვრიან შარა გზაზე.

განგმირეს ის გული, რომელიც ნახევარ საუკუნის განმავლობაში ჩვენთვის იწვოდა ღვთაებრივ ცეცხლის ალზე, ჩვენთვის თრთოდა და ჩვენთვის ფეთქავდა.

მოჰკლეს პოეტი, რომელიც ნახევარ საუკუნის განმავლობაში თავის კისრით ატარებდა ქართულ ლიტერატურას, რომელმაც შექმნა ქართული ენა, ქართული პრესსა, ქართული მწერლობა.

მოჰკლეს და შარა გზაზე დააგდეს ის ილია, რომელიც 40 წლის განმავლობაში ბატონობდა ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებას, საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ეროვნულ იდეას.

მოჰკლეს და ტყეს შეაფარეს გაშავებული და საუკუნოდ შერცხვენილი თავი, თითქო იმ ტყეს შეეძლოს მათი პირისახიდან ჩირქის ჩამორეცხა, თითქო მას შეეძლოს მათი დამალვა და თითქო იქ კი არ დაუხვდებათ სამარცხვინო ბოძი, რომელზედაც ცეცხლის ასოებით ეწერება: „ამ ნაძირალებმა მოჰკლეს პოეტი“!

ვის ან რად უნდოდა ბრძოლაში დაფლეთილი გული პოეტისა, რად უნდოდა მისი დაღლილ-დაქანცული სული და ჯანგამოლეული სხეული? ბრძოლის ველიდან გასულ მეომარს, დატანჯულსა და დაქანცულ პოეტს უფლება ჰქონდა მშვიდად დაელია თავისი სიცოცხლე, დაესვენებინა დაიარავებული სხეული და სიბერეში მაინც აენაზღაურებინა ის დანაკლისი სულიერ მშვიდობიანობისა, რომელიც ახალგაზრდობაში მსხვერპლად მიუტანა საზოგადოებრივ მოღვაწეობისა და ქართულ ლიტერატურის საკურთხეველს.

მაგრამ ავ სულს შეჰშურდა მისი მშვიდობა და ისედაც მოწამლული სული აწამა და ჯვარს აცვა. ვინ იყვნენ ის უმეცარი და უგუნური ბარბაროსები? ვინ აღმართა მახვილი პოეტის წინააღმდეგ! ვინ მოუშხამა უკანასკნელი წუთები მოშხამულ სიცოცხლისა?

არავინ არაფერი არ იცის: დაუხვდნენ შარა გზაზე, გაუგმირეს გული, იქვე დააგდეს მისი გვამი და ტყეს შეაფარეს თავი. ცხადია მხოლოდ ის, რომ პოეტის მკვლელები დაიბადნენ დღევანდელ ცხოვრების უფსკრულში. საზოგადოებრივი აღფრთოვანება შეიცვალა საზოგადოებრივ დაღლილობაზე, ზნეობრივი ნორმები—თავგასულ ავაზაკობაზე, უფლება—ძალაზე, ხოლო გუშინდელი ბრძოლის ველი, რომელიც გაღლენთილია თავგანწირულ წმინდათა სისხლით, დღეს ხელში ჩაუვარდათ ტყის ნადირებსა და ავაზაკებს. ღამის წყვდიადში ტყეებიდან და სოროებიდან გამოილალნენ ტურები და მგელ-კაცები და დაერივნენ ყველას, ვინც ახლო-მახლო მოჰხვდათ. იმსხვერპლეს რამდენიმე მოღვაწე და ეხლა არც მხცოვანი პოეტი დაინდეს. მისმა ცხცოვანმა მკერდმა, ლიტერატურულ ისრებსა და შურდულებს ნაჩვევმა მკერდმა ცხელი ტყვიაც მიიღო და სამუდამოდ გააცივა დღემდის ძალუმად მფეთქავი და ღვთაებრივი ცეცხლით აღგზნებული გული.

მოკვდა პოეტი! მოკვდა სხეული, მაგრამ არ მომკვდარა მისი სახელი და დიდება და არც მოკვდება იმ დრომდის, სანამ სძგერს გული ქართველისა, სანამ არსებობს თვითონ ქართველი, სანამ არსებობს მისი ენა, ილიასაგან გაფაქიზებული და ქართული კალამი და წიგნი, ილიასგანვე გამტკიცებული და გასუფთავებული.

მხცოვანო პოეტო!

„უღვთო იყო შენი სიკვდილი!“.

**ზ. ბდ—ლი.**

---

## იგლოვეთ!

მზეო დაბნელდი, ნუღარ გვინათებ!<br>
ვარსკვლავო, მოჰხსლტი ცისა კამარას!<br>
უგუნურებმა უწყალო ხელით<br>
მოუკლეს შვილი ობოლ ქვეყანას!..

სამშობლო კუთხევ, შენც აქვითინდი,<br>
უბედურება ამცნე მთა-ბარსა;<br>
დაე, გლოვის ხმამ სიმი შესწყვიტოს<br>
სამხიარულოდ მომართულ ქნარსა!..

მამულიშვილნო, განა არ გესმით?<br>
მოხუც გულისა ძგერა ყუჩდება!<br>
იგლოვეთ ყველამ... ჰღვარეთ ცრემლები.<br>
მოჰკლეს მგოსანი—ჩვენი დიდება!..

**ა. შანშიაშვილი.**

---

### პირველი ცნობები ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ

დაკარგული ამხანაგი დაგვიბრუნდა და სამხიარულოდ მცხეთისაკენ გავემგზავრეთ, მაგრამ ის ჩვენის ცხოვრების ნაძირალებს გაუხარნიათ!

ჩასვლისათანავე საშინელი, დაუჯერებელი ამბავი მოგვახალეს: ილია ჭავჭავაძე მოჰკლესო. არავის სჯეროდა, ვერავის ვერ წარმოედგინა, რომ მხცოვან მოღვაწეს, ქართველ ერის სასიქადულო შვილს საქართველოს ნიადაგზე ვინმე ხელს შეახლებდა! იმედი გვქონდა, რომ ტყუილია ხმა, იმედს კიდევ ვოლიკის დაჭრის ამბავი გვიორკეცებდა. მაგრამ საშინელ სინამდვილეს ვინ გაექცევია, რომ ჩვენ მოგვეშორებინა თავიდან: თვალით მნახველმა დაგვარწმუნა, რომ საზარელი მკვლელობა ნამდვილად მოხდა.

გულმა არ დამიჯერა და ამხანაგთან ერთად მცხეთიდან საგურამოს გავემგზავრეთ ცხენებით. გავიარეთ მცხეთიდან ასე სამ ნახევარი ვერსტი და გზის პირად დავინახეთ სისხლში მოსვრილი მანშეტი (სამაჯე); ამ ადგილის პირდაპირ ნიშია და სწორედ აქ მომხდარა მკვლელობა. სხვა კვალი ამ საშინელ ბოროტებისა არა სჩანს. დიდი მოძრაობაა მეურმეებისა და მეეტლეებისა და ალბად ეს კვალიც იმიტომ წაშლილა.

საგურამოს რომ მივუახლოვდით, წინ შემოგვეყარა ეტლი: ტფილისში მოჰყა-

ვდათ თოფის კონდახებით ნაცემი და დაბეჟვილი მეუღლე ილია ჭავჭავაძისა: მხეცებს მოხუცი დედაკაციც კი არ დაუნდვიათ და პირის სახის ძვლები თოფის კონდახებით დაუმტვრევიათ. მივედით საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლში და მოურავმა მიცვალებულების ოთახში შეგვიყვანა.

ჩვენი დროის ადამიანი ყველაფერს შეჩვეულია: სისხლსაც და დასახიჩრებულ გვამებსაც. მაგრამ მაინც ვერ გავუძელით საზარელ სურათს და თოფ-ნაკრავივით გარეთ გამოვვარდით.

ილია ჭავჭავაძის შუბლი ბერდანის ტყვიით *) არის ჩანგრეული, ის შუბლი, რომლის ნაფიქრსაც არა ერთისა და ორის თაობისათვის ახალი ფიქრები აღუძვრია, ბერდანის ტყვიით არის განგმირული ილია ჭავჭავაძის გული, რომლის ნაგრძნობსაც ქართველთა მრავალ თაობისათვის გული აუძგერებია და თვალთაგან ცრემლი უდვრევინებია. და ამის ჩამდენი საბედისწერო ტყვია ქართველის გამოსროლილია!

ათის ტყვიით არის განგმირული საბრალო ახალგაზდა ბიჭი, თარაშვილი, რომელიც ილიას ახლდა. გადარჩენილა მარტო მეეტლე, საგურამოელი ბიჭი თედო. ბოროტების თვალით მნახველი მარტო ეს მეეტლეა და ისიც ისეთ შეშინებულსა ჰგავს, რომ იმის ნალაპარაკევიდან მთელის შემთხვევის წარმოდგენა შეუძლებელია: ოთხი კაცი დაგვხვდა, თეთრ ჩოხებში გამოწყობილი და აფიცრის ეპოლეტებიანებიო, რუსულად ლაპარაკობდნენო, მოგვცვივდნენ და ეს საქმე დაგვმართესო; ცნობით ვერავინ ვიცანიო. ეს არის და ეს.

ჭავჭავაძის მეუღლეს არაფერი არ ახსოვს, გარდა იმისა, რომ ილიას დაუძახნია ქართულად—რას სჩადიხართო და რევოლვერიც ამოუღია. საბრალო ქალმა ჯერაც არ იცის, რომ ილია მოკლულია: გონს რომ მოსულა და მოუკითხავს ქმარი, უთქვამთ—ქალაქში დაბრუნდაო.

მკვლელობის შემდეგ არ გასულა თხუთმეტი წუთი, რომ ილიას მოურავი სამის სტრაჟნიკის თანხლებით შემთხვევით მისულა ბოროტმოქმედების ადგილზე—ილიაცა და მისი მხლებელიც უკვე უსულონი იყვნენ თურმე, ილიას მეუღლე კი მტვერში ეგდო და თავს აქეთ-იქით ახლიდა ქვებს. დაჭრილი ქალი გასისხლიანებულ ეტლში ჩაუსვამთ, მოკლულები კი შემთხვევით მიმავალ ურემზე დაუსვენებიათ და ისე წაუღიათ საგურამოში.

მოკლულები სულ გაძარცულნი იყვნენ: არა სჩანს ილიას პალტო, პიჯაკი, ჟილეტი, ოქროს საათი, ოქროს სათვალე და პატარა ბოლჩი, სადაც საბუთის ქაღალდებს ინახავდა ხოლმე, არც საფულე ქისაა. მხლებელისათვის კი ჩექმებიც გაუხდიათ; აღარ სჩანს აგრეთვე რევოლვერები, რომელიც ილიასა და მის მხლებელს ჰქონიათ თან.

საკვირველია სტრაჟნიკებისა და ადგილობრივ პოლიციის მოქმედება: როგორც გადმოგვცეს, სწორედ 15—20 წამის შემდეგ შეიტყვეს მკვლელობის ამბავი და დროზედ არავითარი ღონისძიება არ მიუღიათ; ურიადნიკმა სთქვა—поскакалъ туда, поскакалъ сюда-ო, იქვე კი სამის ვერსის მანძილზე ყაზახების პოსტია და პირველ ხანებში მეტი არაფერი გაუკეთებიათ და არც საკვირველია: ილია ჭავჭავაძე სტრაჟნიკი არა ყოფილა.

*) ბერდანის თოფის გილზი ნახეს.

# სამგლოვიარო დეპეშა

**ქუთაისი.** არ ვიცით, რა სიტყვებით გამოვთქვათ ჩვენი აღშფოთება საუკეთესო ქართველის მოკვლის გამო,—იმ ქართველისა, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ემსახურა ჩვენს ქვეყანას. მოწიწებით მოვიყრით მის ცხედრის წინაშე მუხლებს და უზომო ზიზღს ვუცხადებთ იმ მტარვალთ, რომელთაც ჩვენი მგოსანი, ჩვენი დიდი მოამაგე არ დაინდეს.

ახალგაზრდათა წრის მონდობილობით
**დონ-ვალიანი.**

# ახალი ამბავი

✦ **ილია ჭავჭავაძის მოკვლა.** საზარელი ამბავი ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ ტფილისში საღამოს 6 საათზე მოვიდა; ჩვენმა რედაქციამ-კი დეპეშა მიიღო მეცხრე საათზე, როცა გაზეთი უკვე დაბეჭდილი იყო და პროვინციაში წასაღებად უკვე სადგურზე გაგზავნილი. ამიტომ თვით სტამბაში მოუსწარით ორი სტრიქონის ჩამატება. აღსანიშნავია, რომ ჩვენს თანამშრომელს, შემთხვევით იმ დღეს მცხეთაში მყოფს, რედაქციისათვის დეპეშა ნაშუადღევის 4 საათზე გამოუგზავნია, ჩვენ-კი საღამოს მეცხრე საათზე მივიღეთ! დაუჯერებელი ამბავი იმ საღამოსვე მსწრაფლ მოედო მთელ ტფილისის ქართველობას და თავზარი დასცა ყველას.

პირველი პანაშვიდი განსვენებულის პატივსაცემლად გადახდილ იქნება დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში.

✦ **ეტაპით გაგზავნა.** ამ ბოლო დროს ხელ-ახლა მოუხშირეს ჩრდილოეთ გუბერნიაში ხალხის გაგზავნა. მარტო 28 მარიამობისთვეს ქუთაისის საპყრობილიდან 58 კაცი გაჰგზავნეს ვიატკის გუბერნიაში.

✦ **განთავისუფლება.** 30 აგვისტოს მეტეხის ც. ხიდან გაანთავისუფლეს: პროკოფი ჯუღელი, ვლადიმერ გაგუა (პოლიციის მხედველობის ქვეშ), იოსებ სანადირაძე, ივანე სვანიძე, მიხეილ დარჩიაშვილი და მიხეილ აბესაძე; საგუბერნიო საპყრობილიდან ნინო ჩემია.

✦ **პროგიმნაზიის შენობის კურთხევა.** გუშინ, 31 აგვისტოს, აკურთხეს ახალი შენობა ავლაბრის ვაჟთა პროგიმნაზიისა. კურთხევას დაესწრნენ სამოსწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი, ქალაქის თავი, გამგეობის წევრნი და სხვანი.

✦ **ურიადნიკის მოკვლა.** ახალციხის მაზრაში ლეპისის სოფლის საზოგადოებიდან ახალციხის მაზრის მცხოვრებლებმა ეუბ მამედ-ოღლიმ, აილა ბეგმა, ჩაჩანამ, ანუკა ეუბ-ოღლიმ და მუსა ოღლიმ მოიტაცეს თორმეტი წლის ქალი. 25 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, მათ დაედევნა ხოპერის პოლკის რაზმი. სროლის დროს მოჰკლეს ამ პოლკის მეექვსე სოტნის ურიადნიკი პროკოპენკო.

✦ **უმაღლესი კურსები.** უმაღლეს კურსების სადგომში (პუშკინის ბიბლიოთეკა, ალექსანდრეს ბაღი) გამოცხადებულია დაწვრილებითი სია იმ ლექციებისა, რომელიც წაკითხულ იქნება ენკენისთვის განმავლობაში. საქართველოს ისტორიას წაიკითხავს კვირაში ერთხელ ე. ს. თაყაიშვილი; ქართულ ენას—საკომერციო სასწავლებლის მასწავლებელი ი. აბულაძე. ზამთრის განმავლობაში ჩამოვლენ პეტერბურგიდან პროფესორები: მარრი—ქართულ ენის შესახებ წასაკითხად, ი. ჯავახიშვილი—ქართველების ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრების ისტორიისა; მოსკოვიდან მოწვეულია ა. ხახანაშვილი—ქართულ მწერლობის ისტორიის წასაკითხად. ენკენისთვის განმავლობაში ბერლინის უნივერსიტეტის დოცენტი ბ-ნი მ. ხალათიანი წაიკითხავს რვა ლექციას წინა-აზიის და სომხეთის ძველ ისტორიის შესახებ. ამ ლექციების შემდეგ ენკენისთვეშივე ხალათიანი დაბრუნდება ბერლინში.

✦ **ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებანი.** იგზავნებიან ასტრახანის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე ხ. ჩაჩანოვი, მ. ბარსეგოვი, ა. მარქარიანცი და პ. ბალდასაროვი, პერმის გუბერნიაში ორის წლით მექურისხეველი ალექსანდრე გარკეულოვი; ვიატკის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე კულაშელი დიმიტრიაშვილი. ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალა ს. მარკოზოვს. [illegible]ი თუმნით დააჯარიმეს სახლის პატრონი დარჩინიანცი.

✦ **ყალბად ფულის გატანა.** გუშინ, 31 აგვისტოს, დილის ასე 11 საათზე, ტფ. საკომერციო ბანკში მივიდა ვიღაც უცნობი კაცი, ტომით, როგორც შემდეგ გამოირკვა, ბერძენი და წარადგინა 8000 მანეთის ორდერები ამ ფულის მისაღებად. მეარტელემ ის იყო გადასთვალა ნახევარი მოთხოვნილ ფულისა და დანარჩენიც უნდოდა გადაეთვალა, შედგა და დაეჭვებულმა დაუწყო ფურცვლა ორდერებს. უცნობმა რომ შეატყო ეჭვი აიღესო, ფრთხილად გაიპარა დარბაზიდან და მოკუსლა, მაგრამ გამოუდგნენ და დაიჭირეს. უცნობმა ფულის მიღებაზე ხელი მოაწერა ივანოვის გვარი. როცა გამოკითხეს, სთქვა, ვიღაც უცნობი კაცი შემხვდა, გადმომცა ეს ორდერები და მითხრა, მე ივანოვი ვარ და ჩემს სახელზე ეს ფული გამოიტანე ბანკიდანაო. შეპყრობილი პოლიციაში წაიყვანეს.

✦ **ყარსის გზაზე მატარებლის გაცარცვის გამო.** პოლიციამ, როგორც თითონა ჰფიქრობს, მიაგნო იმათ კვალს, რომელთაც 11 აგვისტოს ყარსის შტოზე მატარებელში მეარტელეს 18,000 მ. წაართვეს. ნაძალადევში 30 აგვისტოს პოლიციამ ალყა შემოარტყა რკინის გზის კონდუქტორის გიორგი ჩიკვაიძის სახლს. გაჩხრეკის დროს იქ მცხოვრებ იოსებ გიორგობიანს უნახეს მაუზერის რევოლვერი და რამდენიმე პატრონი. დააპატიმრეს გიორგობიანი და ოჩურგეთის მცხოვრები ისიდორე თალაქვაძე. აღმოაჩინეს აგრეთვე 20 გირვანქა არა-ლეგალური ლიტერატურისა. ალექსი ცერაძეს, რომელსაც ჰბრალდება აგრეთვე ამ გაძარცვაში მონაწილეობის მიღება, გაჩხრეკის დროს არაფერი არ აღმოაჩნდა. ყველა ესენი პოლიციამ დააპატიმრა.

✦ 30 აგვისტოს, დილით მიმავალ ფაეტონზე დამოჯნისა და სადგურის ქუჩის შესართავთან ტფ. მოქალაქეს ნიკ. ბაზანასოვს თავს დაეცა ორი უცნობი კაცი. სამჯელ დაახალეს რევოლვერი და მძიმედ დასჭრეს. დაჭრილი სავადმყოფოში გაგზავნეს. უცნობნი მიიმალნენ.

✦ 30 აგვისტოს, საღამოს 8 საათზედ, შუა ბაზარში პოლიციამ დააპატიმრა ქუთაისის მოქალაქე იოსებ ბერუჩევი, რომელიც ამას წინად ტფ. გენერალ-გუბერნატორიდან გადაასახლეს, მაგრამ დაბრუნებულა.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „სოფ. ჩხარის პირველ დაწყებით საქალებო სასწავლებელს შემოსწირეს: ვ. ს. ყიფიანმა—ბავშვების სამეცადინო მაგიდა, ღირებული 5 მან.; თავ. დ. თარხნიშვილმა—ორი ისეთივე მაგიდა, ღირებული 10 მან.; ნ. ბ. ფანჩულიძემ, ა. გ. პატარიძემ, ი. სოფრომაძემ და ბოჭორიშვილმა თითო ასეთივე მაგიდა, ღირებული თითო 5 მან. მოსწავლე ქალთა მაგივრად და ჩვენის მხრივ მადლობას ვწირავთ დასახელებულ პირთ სასწავლებლის დახმარებისათვის. მასწავლებლები: ფ. ფანჩულიძისა და ვ. ლომინაძისა.

✦ ბათუმში ვიღაც უცნობს მსუბუქად დაუჭრია მელქისედეკ მახარაძე. დამჭრელი მიმალულა.

# ხოლერა
(დეპეშები)

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** 30 აგვისტოს ხოლერით ხელ-ახლა ავად გახდა 10 კაცი, გარდაიცვალა 4. გუბერნიაში ავად გახდა 152, გარდაიცვალა 64.

**ასტრახანი.** 30 აგვისტოს ავად გახდა 50 კაცი, გარდაიცვალა 23. ფორშტატში ავად გახდა 8. მაზრებში ავად გახდა 21, გარდაიცვალა 10.

**სიმბირსკი.** სიზრანის რკინის გზის საავადმყოფოში დააწვინეს სამი ხოლერიანი. გარდაიცვალა ერთი ხოლერიანი ქალი.

**განჯა.** 30 აგვისტოს განჯაში რკინის გზის სადგურზე ორი კაცი გახდა ავად ხოლერით და ორივე გარდაიცვალა.

### შანტაჟისტების თავგასულობა.

შანტაჟისტების თავგასულობას საზღვარი არა აქვს. აი, სხვათა შორის, რა ჩაუდენიათ გორში.

გუშინ გორში, ნაშუადღევის ორ საათზედ, საზოგადოების ნაძირალა რამდენიმე შანტაჟისტი „ბლანკით“ ხელში თავს დაეცა ყველასაგან კარგად ცნობილ მასწავლებელს და ახლად დაარსებულ გიმნაზიის დირექტორს მიხეილ ზაალიშვილს. წარუდგინეს ბლანკი და რევოლვერით ხელში დაემუქრნენ მოკვლას, თუ ფულს არ მისცემდა. ზაალიშვილმა უარი უთხრა და რომ შეატყო, შანტაჟისტი სროლას უპირებდა, შევარდა ოთახში და კარები მიიხურა. შანტაჟისტიც უკან გამოუდგა. უნდა შევარდნილიყო, მაგრამ იქ მყოფმა მებაღემ დაიჭირა და მოისურვა რევოლვერის წართმევა. ჭიდაობაში შანტაჟისტმა მოასწრო სროლა და დასჭრა მებაღე მხარში. ამბობენ, ჭრილობა სასიკვდილო არ არისო. რევოლვერის ხმაზე მოვარდნენ ხალხი და კაზაკები და შანტაჟისტი შეიპყრეს. იგი აღმოჩნდა მღვდელ ნასყიდაშვილის შვილი.

ზაალიშვილი გორში ცნობილია, როგორც საუკეთესო საზოგადო მოღვაწე, როგორც კარგი მასწავლებელი—და აი ამ საზოგადოების ამ საუკეთესო წევრის მოსპობა განიძრახეს ნაძირალებმა.

დღეს ჩვენ ცხოვრებაში ასეთ საზიზღარ მოვლენებს, სამწუხაროდ, დიდი ადგილი უჭირავს. ბატონი შანტაჟისტები ჰყვლეფავენ ხალხს რევოლიუციის სახელით და რეაქციის დახმარებით ასრულებენ თავიანთ „საგმირო საქმეებს“. მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ასეთ საზიზღრობას ბოლო არ უჩანს და თითქმის ყველა საუკეთესო წევრი ჩვენის საზოგადოებისა შანტაჟისტების თავგასულობის მსხვერპლი ხდება.

საზოგადოება ხელ ფეხ შეკრულია და შანტაჟისტებიც ნავარდობენ! **ზ. მ—ნი.**

# პრესა

გუშინდელ „ტფ. ლისტოკ“-ში დაბეჭდია წერილი ბ-ნ Speranta-სი. ავტორი, სხვათა შორის, ეხება იმ ფულს, რომელიც ორ ავადმყოფ არტისტის სასარგებლოდ იკრიბებოდა (არ იხსენიებს გვარებს, ალბად, გუნიასა და კარგარეთელის სასარგებლოდ) და ამბობს შემდეგს:

„პატარა თანხა-კი, შეწირული ერთ ამ ავადმყოფის (არტისტის) სასარგებლოდ და გადაცემული **ქართულ** (გახაზული ავტორის მიერ არის) ორგანოს რედაქციაში, რედაქტორის მიერ იხარჯება თავის შეხედულებისამებრ.“ რადგანაც ჩვენ ვიცით, ქართულ პრესაში ერთად-ერთი ორგანო, სადაც ფული იკრიბებოდა ავადმყოფ გუნიასა და კარგარეთელის სასარგებლოდ, იყო „ისარი“. ხსენებულ წერილის ავტორსაც და გაზეთის რედაქციასაც [illegible]ანებ, უნდა ესმოდეთ, რა მძიმე ბრალს სდებენ გაზეთს და ეჭვებს ავრცელებ[illegible] საზოგადოებაში, ამიტომ მოვალენი [illegible]იან, პირდაპირ განაცხადონ, მათის [illegible]ბებით, რომელმა რედაქციამ შეჭამა ავადმყოფ არტისტის ფული, რომ ღირსეული პასუხი გავცეთ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ვყევართ მხედველობაში.

# პროვინციის ცხოვრება

**სოხუმი.** ქუდბედიანები ვართო, სწორედ სოხუმის ციხის ტუსაღებს შეუძლიანთ სთქვან. მთელი ზაფხული ისე გავიდა, მშიარული სენი არაფერი გაჩენილა, თორემ მთელ საპყრობილეს მუსრი გაევლებოდა, პირდაპირ განგებამ იპატივა უპატრონოდ დარჩენილი ტუსაღები!.. საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ მოსალოდნელ ხოლერის შიში ჯერ-ჯერობით ჩვენს ქალაქში ძილს არავის უფრთხობს. საპატიმრო თითქო ქალაქში არც-კი არსებობდეს და ქალაქთან კავშირი არც კი ჰქონდესო. ყურადღებას არავინ აქცევს, რომ საპყრობილეში ცხოვრების პირობები ცოტაოდნად მაინც შეიცვალოს. წარმოიდგინეთ, 80 კაცის ალაგას 300 კაცია საპატიმროში თავმოყრილი! ღამე ოთახში მყოფთა ერთი მესამედი იატაკზე წევს და სძინავს, ორი მესამედი კედლებზეა აყუდებული და თავის რიგს ელოდებიან, რომ დაიძინოს. ჰაერისას ხომ ნურას ბრძანებთ! მღვიმე-მაღაროში არ იქნება ჰაერი ასე გადენთილი ნახშირმჟავით! ტუსაღებს მთელი დღე რეტი ესხმით და გული უწუხდებათ, შველა მხრით ოთახებში, უკაცრავად პასუხია, ფეხის ადგილების სუნი შემოდის... უჰაერობას და უადგილობას დასძინეთ უსაჭმელობა. სამას კაცისათვის 25 გირვანქა ხორცი მოაქვთ, საცინელი და სატირელი ის არის, რომ რაც უნდა მოემატოს ტუსაღთა რიცხვს, 25 გირვანქა ხორცს არაფერი ემატება. ასეა დაწესებული, ეტყვიან. მერე, რასაც ჰყიდულობენ, ის მაინც ჰგავდეს ხორცს! კიდეც ტუსაღთა გულშემატკივარ უპსაბს, ჯვარად ბახტაძეს, იჯარით აუღია ხორცი ძლევა—გირვანქა ორ შაურად იმ დროს, როცა ქალაქში გირვანქა ხორცი 14 კაპეიკად იყიდება. აქაო და ხათრს გუწევ სატუსაღოს და ხორცს იაფად ვაძლევო, ტუსაღებსაც მოვაძლევდა ხდის იმასაც ხათრი გაუწიოს და უდრტვინველად მიიღონ მისგან, რასაც გამოუგზავნის. ხოლო ესაა ჰგზავნის აუცილებლად ხარის ან ძროხის თავს და იმასაც მაშინ, როდესაც ვერავის მიასაღებს და გადასაგდები გაუხდება. ჯერ ერთი 25 გირვანქა ხორცში 10 გირვანქა ძვალია, მეორე—ხორციც გახრწნილია. ტუსაღი უმეტეს შემთხვევაში წვალ-წვალა წვენში ხორცის ჩასახსაც ვერა ნახავს ხოლმე. ამასთან, გამოუცხობელ პურის ჭამა თითქო სჯულდებული იყოს ტუსაღთათვისაო.

ამ რიგად სიბინძურეს, უადგილობას და უჰაერობას ზედ ერთვის უსაჭმლობა. ადვილი წარმოსადგენია, ასეთ პირობებში ჩაწყვდეული ტუსაღნი, რა რიგ ხელის შემწყობ ნიადაგს წარმოადგენენ ყოველ გვარ გადამდებ სენის გასავრცელებლად.

პოლიტიკურმა ტუსაღებმა თხოვნა მისცეს სატუსაღოს სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარეს თავ. დ. ჯანდიერს, რაიმე გვიშველე იქნება, ახალი ბინა დაიქირავეთ და ერთი ნაწილი ტუსაღთა აქაურობას მოგვაშორონო. თ. ჯანდიერმაც გუბერნატორს შეატყობინა ტუსაღთა აუტანელი ყოფა და ნება სთხოვა სამოც კაცისთვის სამყოფი ბინის დაქირავებისა .. ველოდით როდის რა მოწყალებას მოიღებენ.

სატუსაღოში პოლიტიკურ ტუსაღთა რიცხვი 30-ს უდრის. როგორც იცით შველა

---

**მღვდელი გიორგი, დოქტორი ნიკოლოზ გიორგის ძე მრევლიშვილები, დარია გიორგის ასული ხრამელაშვილისა, მარიამ ალექსის ასული მრევლიშვილისა, ანნა ეფრემის ასული ცისკარაშვილისა, ნატალია ეფრემის ასული ქვლივიძისა,** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ქ. თელავში 31-ს აგვისტოს, პირველი დაუვიწყარ მეუღლისა, მეორე და მესამე ძვირფასის—დედისა, მეოთხე—დედამთილისას, უკანასკნელი—უსაყვარლეს დისას

## ოლღა ეფრემის ასულის მრევლიშვილისა.

პანაშვიდი ყოველ დღე. დაკრძალვა ქ. თელავში 2 სექტემბერს. (1—1)

---


ც ნ ო ბ ი ლ ი

## ქალთა სამკერვალო
„SALON MODES“

სოლოლაკში, სერგეევის ქუჩაზე № 1—9 **განაგრძობს თავის მოქმედებას. ღებულობს შესაკერად ყოველ-ნაირ ქალისტანისამოსს,** იყვანს მოწაფეებს და ასწავლის ჭ რ ა-კ ე რ ვ ა ს და ქ ა რ გ ვ ა ს.

სამკერვალო შესდგება იმავე ოსტატებისაგან.

**გამგედ სამკერვალოსა არიან:** უფროსი ოსტატი ქალ. ეკატერინე ვაშალომიძის ასული და ქალბ. რაისო თოხაძისა. (25—6.—4)

სავაჭრო სახლის ს. გ. კირაკოზოვის,

## ბ. გ. ოგანოვის და ამხ.

ქუთაისი, გიმნაზიის ქ. თავ. თუმანოვის სახლებში, ბულვარის პირდაპირ.

ვაუწყებთ ქუთაისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ 3 ენკენისთვიდან 1907 წ. გაიხსნება **წვრილად გაჭრობა** ყოველნაირ მანუფაქტურულ რუსეთის და საზღვარ-გარეთის საქონლისა, მაგალითად: აბრეშუმეულობის, შალეულობის, ხავერდის, მაუდის, ტილოების და ბამბეულის საქონლისა.

**ფასები უვაჭროდ.** (3—კვ.—2)


წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების

## ს ა ბ ჭ ო

აცხადებს, რომ ამ წლის 3 სექტემბრიდან ტფ. წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის მე-V კლასთან იხსნება პარალელური განყოფილება, ამიტომ იმ მშობლებმა და მზრუნველებმა, რომელთაც თხოვნები შეიტანეს ბავშვების მე-V კლასში მიღების შესახებ, კეთილ ინებონ და ეხლავე წარუდგინონ სასწავლებლის კანცელარიას თხოვნები საჭირო დოკუმენტებით.

ამასთან საბჭო აცხადებს, რომ დარჩენილი გადასახადი, რომელიც ზოგიერთ მოწაფეებზე ითვლება, უნდა შეტანილ იქნას ამა წლის 31 აგვისტომდე. ვინც ამ დროსთვის ფულს არ შეიტანს, სასწავლებელში არ იქნება მიღებული. (3—6.—2)

**2** სექტემბერს, დილის 10 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია ქართულ **დრამატიულ საზოგადოების წევრთა კრების გაგრძელება**—გამგეობის ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის წევრთა ამოსარჩევად. (3—2)

საქმის გარჩევა მომავალ ენკენისთვეშია დანიშნული. დამცველებად მოდიან, ტფილელ ვექილთა გარდა, პეტერბურგიდან დ. ანდრონიკაშვილი და სიდ. ერისთავი. ამ დღეებში ჩამოვიდა ნაფიცი ვექილი გ. გვაზავა, რომელიც, სხვათა შორის თ. სხოკიას და მის ამხანაგების დამცველად გამოდის და დაცვისთვის საჭირო მასალები შეკრიბა.

პეტერბურგიდან სანუგეშო ამბავი მოგვივიდა: სოხუმის რკინის გზის გაყვანის საქმე სასურველად მთავრდებაო. ქალაქის თავს ნ. თავდგირიძეს, რომელიც ამის გამო პეტერბურგში იმყოფება, ამ დღეებში ჩამოვქლით სოხუმში.

—

**ფრონის-ხეობა.** 27 აგვისტოს შუადღისას მოვიდა თქეში და თან მოჰყვა კაკლის ოდენა სეტყვა. დიდი ნაგზევი მისცა სოფ. აბისს. მოვარდა ორივე ხევი ტკოფურა და წადულა, წალეკა ნახევარზედ მეტი აბისი; მცხოვრებლებს წყალი შეუვარდათ, სახლში რაც რამ ჰქონდათ სანოვაგე—ფქვილი, ღვინო, ზოგს ხორბალი ყვავრგისი გახადა; თითონ მცხოვრებლებმა მოასწრეს და მეზობლებისას გადავიდნენ, ღამე იქ გაათიეს. მთლად ბაღები, ვენახები, დიდრონი ხეები, ხეხილები დაჰგლიჯა ძირიან-ფესვიანად ნიაღვარმა და მოსწმინდა მიწის პირად. სოფელს კარმიდამოს და კალოს ღობეები, ხე-ტყე და შეშა მოსტაცა.

აგრეთვე დაისეტყვა საციხური, წადული, აბანო, ატოცი, ბარეჯა, თამარაშენი, ქვათეთრი, ნამეტურ საციხურმა იზარალა.

28 აგვისტოს გზად გავიარე აბისზედ და საზარელი სურათი ვნახე წინა დღის ნავწევისაგან; აბისის ორ დობეში ხალხს შევხვდი, გზიდებოდნენ ნიაღვრისაგან წართმეულს ხაბაკ-ხუბაკს, ბადეულობას, ფურძენს, სიმინდს. აქავე მომრიგებელ შუამავლის ნაფარი, წითელ-რაზმში ნამყოფი, ძალას ატანდა დაზარალებულებს—გზა ქნდავე გაეწმინდათ, და თან გინებით, დანძლვით იმუქრებოდა: გზა გაწმინდეთ, თქვე ასეთ-ისეთებო! სოფელი უარს იდგა, რომ დაგვხოცოთ ეხლავე, გზას ვერ გავსწმენდავთ, ვიდრე ჩვენ ცოლ-შვილს არ დავაბინავებთო. შემომხედლეს, შვიმველეთ რამე, ერთი დღე დაგვაცადონ, ჩვენი ცოლ-შვილი დავაბინაოთ და შემდეგ გზას შევუდგებითო. მამასახლისი ვნახე და ვთხოვე ხვალამდის ედროვებიათ გზის გაწმენდა. პასუხად მივიღე, ნაბძანები მომრიგებელ-შუამავლისაგან, არ შემიძლიან, არ ავასრულოთ; ჯერ გზა უნდა გააკეთონ და შემდეგ თავის საქმეს შეუდგნენო. რას გავაწყობდი ქნდანდელ თვითნება სოფლის ადმინისტრაციასთან.

იყო დრო, როდესაც წითელი რაზმელები ბრძანებლობდნენ სოფლად და ზოგი მათგანიც ქაბადობონენ. დრო იცვალა, იგივე წითელ-რაზმელებთაგანი სტრაჟნიკებად, ჩაფრებათ ადმინისტრაციას ემსახურებიან და სოფლად ისევე ბრძანებლობენ მოურიდებლად და ურცხვად. Leqatuq.

# რუსეთი

✦ **„კადეტების“ კანდიდატები.** პეტერბურგის კომიტეტმა უკვე დაასახელა დეპუტატების კანდიდატები პეტერბურგიდან. მეორე კურიაში დაასახელეს მილიუკოვი, კუტლერი, გესენი, როდიჩევი, კოლიუბიაკინი და გრიმი. ჯერ გადაწყვეტილი არ არის, პირველ კურიაშიაც პარტიულ კანდიდატებს წამოაყენებენ თუ ოპოზიციონურ უპარტიო მოღვაწეებს დაასახელებს. ჯერ-ჯერობით კადეტებმა დაასახელეს სრებდოლსკი, სპესივცევი, უშაკოვი და თურქესტანის ნაგენერალ-გუბერნატორალი გენ. სუბოტიჩი.

✦ **სკოლის ბოიკოტი.** პოლონეთიიდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ მთელი მოსწავლე თაობა პოლონეთისა კერძო სასწავლებლებს მიაწყდა და სახაზინო სკოლებს კი ისევე ერიდება, როგორც შარშან ერიდებოდა. ცხადია, რომ მთავრობას არ გაუმართლდა მოლოდინი, ვითომ პოლონეთის ახალგაზრდობა და საზოგადოება დღეს თუ ხვალ ბოიკოტს თავს დაანებებსო.

✦ **შინაგან საქმეთა მინისტრი.** პეტერბურგის უმაღლეს წრეებში დაბეჯითებით ამბობენ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სტოლიპინი შინაგან საქმეთა მინისტრობას თავს ანებებსო. წინად სწერდნენ, რომ იუსტიციის მინისტრიც თავს ანებებს სამსახურსა და მის ადგილზე ნიშნავენ მაკაროვსო. დღეს კი იუწყებიან, რომ მაკაროვს შინაგან საქმეთა მინისტრობას აძლევენო.

✦ **ოდესის ახალი გრადონაჩალნიკი.** ადესის გრადონაჩალნიკად გრიგორიევის მაგივრად დანიშნეს ჟანდარმის გენერალი ნოვიცკი, რომელიც საჩქაროდ გაგზავნეს ადესაში და თან დაავალეს, საქმე გამოიკვლიეთ და შეგვატყობინეთ, შეიძლება თუ არა ადესაში სამხედრო წესების მოხსნაო. ბიუროკრატებს ხდომებიათ ადესის გენერალ გუბერნატორის კაულბარსის მოშორება და სხვა მიზეზი რომ ველარ უპოვნიათ, სამხედრო წესებს ხსნიან. ზოგი ქირი მარგებელიაო.

